ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 225

"10" ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №3-ში მდებარე 88.70 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.081.01.500) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №3-ში მდებარე 99.76 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.081.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №3-ში მდებარე 88.70 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.081.01.500) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №3-ში მდებარე 99.76 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.081.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის №22.720.773 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №3, სართული 1-ზე მდებარე 88.70 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.081.01.500) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის №3, სართული 2-ზე მდებარე 99.76 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.081.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მალხაზი ფირცხალაიშვილისთვის (პ/ნ. 01019047786) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე